ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №23/03-01

„23“ „მარტი“ 2018წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის, ავთანდილ იმედაძის სახით, და მეორე მხრივ, შპს „თბილისი მედიკ“ შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ლევან ნადირაშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1“) ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარების (CPV კოდი: 18100000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 620 (ექვსას ოცი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

#	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი	კატეგორიის/ ქვეკატეგორიის კოდი
1	ტყვიის შემცვლელი საყელო	ცალი	1	170.00	170.00	18143000
2	ტყვიის შემცვლელი წინსაფარი	ცალი	1	450.00	450.00	18143000
ჯამი					620.00	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, 2018 წლის 30 მარტამდე;

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

5.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები, მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

6.2. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. `მიმწოდებელი~ წარუდგენს `შემსყიდველს~ მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2.გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი
9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0.05%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს „შემსყიდველს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს უფლებამოსილი პირი, სამეურნეო სამსახურის უფროსი, ზურაბ ამაშუკელი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 30 აპრილამდე;

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29
ს/კ №205165453
ს.ს. „ბანკი ქართუ“
ბ/კ №CRTUGE22
ა/ა №GE87CR00000000000023402

დირექტორი
ავთანდილ იმედაძე

„მიმწოდებელი“

შპს „თბილისი მედიკ“

ქ.თბილისი ლუბლიანას ქ. 34
ს/კ: 404865286
სს „ პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ # MIBGGE22
ა/ა # GE62PC0413600100002573

დირექტორი
ლევან ნადირაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

„ 23 “ „მარტი“ 2018წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ “შემსყიდველი” შ.პ.ს. “აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“, სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ ამაშუკელი, სახით და მეორეს მხრივ, შპს „თბილისი მედიკ“ შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ლევან ნადირაშვილის სახით ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მოწოდებულია საქონელი 2018 წლის 23 მარტის №23/03-01 ხელშეკრულების მიხედვით.

სახელშეკრულებო თანხა 620(ექვსასოცი) ლარს.
სასაქონლო ზედნადებით *# 0366369287* მიწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 620(ექვსასოცი) ლარი.

„შემსყიდველი“
შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.#29
ს/კ №205165453
ს.ს. „ბანკი ქართუ“
ბ/კ №CRTUGE22
ა/ა №87CR0000000000023402

სამეურნეო სამსახურის უფროსი
ზურაბ ამაშუკელი

„მიმწოდებელი“
შპს „თბილისი მედიკ“

ქ.თბილისი ლუბლიანას ქ. 34
ს/კ: 404865286
სს „ პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ # MIBGGE22
ა/ა # GE62PC0413600100002573

დირექტორი
ლევან ნადირაშვილი

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

23 მარტი 2018 წ.

ქ. თბილისი

,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ საჭიროებისათვის სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარების (CPV კოდი: 18100000) შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, შპს„აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" მიერ, ბაზრის კვლევის შედეგად შერჩეულ მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი:
შესყიდვების სპეციალისტი
ნინო გეწაძე /----------/

დირექტორი:
ავთანდილ იმედაძე /----------/

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

23 მარტი 2018 წ.

ქ. თბილისი

,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"–სა და შპს ,,თბილისი მედიკ" –ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე
პასუხისმგებელი პირი
სამეურნეო სამსაურის უფროსი
ზურაბ ამაშუკელი

/----------/